



მირტაგი ასადოვის  
საჩივრის  
საფუძველზე ემზარ  
კვიციანს სახალხო  
დამცველმა ზოგადი  
წინადადებით  
მიმართა

## მირტაგი ასადოვის საჩივრის საფუძველზე ემზარ კვიციანს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა

საქართველოს სახალხო დამცველმა მირტაგი ასადოვის საჩივრის საფუძველზე ზოგადი წინადადებით მიმართა პარლამენტარ ემზარ კვიციანს, რომლითაც მოუწოდა დეპუტატს, მომავალში არ წახალისოს დისკრიმინაცია რომელიმე დაუცველი ჯგუფის მიმართ და დაიცვას პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები.

მირტაგი ასადოვმა სახალხო დამცველის ანტი-დისკრიმინაციულ მექანიზმს საიას დახმარებით 2019 წლის თებერვალში მიმართა. საჩივარში მითითებული იყო, რომ დეპუტატმა სამუშაო შეხვედრისას მირტაგი ასადოვის მიმართ დისკრიმინაციული გამონათქვამი გამოიყენა. კერძოდ, აღნიშნულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 2019 წლის 21 იანვარს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე. სხდომაზე მიწვეულები იყვნენ რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მირტაგი ასადოვი, როგორც სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სამმართველოს თავმჯდომარე და შეიხი ესწრებოდა აღნიშნულ სამუშაო შეხვედრას და სამუშაო ჯგუფის სხდომაზე სიტყვით აზერბაიჯანულ ენაზე გამოვიდა. მის განცხადებას ქართულ ენაზე თარჯიმანი თარგმნიდა. აზერბაიჯანულ ენაზე მირტაგი ასადოვის გამოსავლას ემზარ კვიციანის რეპლიკა მოჰყვა - **□□□□** მოვისმინე ვინ ბრძანდება მაგი [იგულისხმება მირტაგი ასადოვი]? ვერ გავიგე უბრალოდ, საქართველოს მოქალაქეა? □ . რაზეც მირტაგი ასადოვმა უპასუხა, რომ საქართველოს მოქალაქეა. აღნიშნულის შემდეგ ემზარ კვიციანმა მირტაგი ასადოვს: მიმართა: „მერე ქართულად მელაპარაკეთ, მაშინ“.

**სახალხო დამცველის მიერ გამოცემულ წინადადებაში აღნიშნულია, რომ ემზარ კვიციანის გამონათქვამი ცალსახად იყო მინიშნება, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რომელმაც არ იცის ქართული ენა, არა აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი აზრი პარლამენტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით და ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.**

**სახალხო დამცველის შეფასებით, მსგავსი მიდგომები ხელს უწყობს ქართული ენის არმცოდნე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების საჯარო სივრციდან გარიყვას , რაც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაშია ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის იდეასთან.**

იმის გათვალისწინებით, რომ ეთნიკური უმცირესობების სრულყოფილი ინტეგრაცია ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საქართველოსთვის პრობლემად რჩება, პოლიტიკოსების მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი განცხადებები უარყოფითად აისახება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე და შემწყნარებლური გარემოს ჩამოყალიბებაზე. ამდენად, სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია, საჯარო პირებმა გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა, არ წააქეზონ დისკრიმინაცია უმცირესობათა მიმართ და ხელი შეუწყონ თანასწორი და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფას.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ემზარ კვიციანის მიმართვა მირტაგი ასადოვისადმი არის ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევა და მიმართავს დეპუტატს, რომ მომავალში არ წახალისოს დისკრიმინაცია რომელიმე დაუცველი ჯგუფის მიმართ და დაიცვას 2019 წლის 22 თებერვლის პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მოთხოვნები.

*მირტაგი ასადოვის საქმეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ის მხარდაჭერით აწარმოებდა.